

„დამტკიცებულია“

სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის
2020 წლის 25 მაისის N 02-01-101 ბრძანებით

შევიდა ცვლილება

სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის
2022 წლის 25 თებერვლის N02-01-56 ბრძანებით

შევიდა ცვლილება

სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის
2022 წლის 5 მაისი N02-01-152 ბრძანებით

„შეთანხმებულია“

სამეთვალყურეო საბჭოსთან
N3 ოქმი 2020 წლის 25 მაისი

„შეთანხმებულია“

სამეთვალყურეო საბჭოსთან
ოქმი N 2 2022 წლის 25 თებერვალი

„შეთანხმებულია“

სამეთვალყურეო საბჭოსთან
ოქმი N 5 2022 წლის 5 მაისი



სსიპ კოლეჯის „აისი“

სტრატეგიული განვითარების გეგმა

25.05. 2020 - 25.05. 2027 წლები

ს. კაჭრეთი

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. შესავალი
2. სიტუაციის ანალიზი
 - 2.1. პროფესიული განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობა
 - 2.2. რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები 1-7 წლის განმავლობაში
 - 2.3. სსიპ კოლეჯში „აისი“ არსებული მდგომარეობის ანალიზი
 - 2.3.1. სსიპ კოლეჯის „აისი“ საქმიანობის სამართლებრივი ბაზა
 - 2.3.2. კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
 - 2.3.3. კოლეჯში არსებული სასწავლო პროგრამები
 - 2.3.4. ძირითადი გამოწვევები
 - 2.3.5. კოლეჯის სტატისტიკის დინამიკა გენდერული ნიშნით
3. სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, აქტივობები, პრიორიტეტები და მოსალოდნელი შედეგები
 - 3.1. S W O T ანალიზი
 - 3.2. ხედვა და მისია - დეფინიციები და განმარტებები
 - 3.3. პრიორიტეტები
 - 3.4. კოლეჯის ახალი ინიციატივები
 - 3.5. სტრატეგიული მიზნები
 - 3.6. ამოცანები

- 3.7. მოსალოდნელი შედეგები
- 3.8. სტრატეგიის დანერგვის ფინანსური ხარჯები
- 3.9. სტრატეგიული გეგმა
- 3.10. სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა
- 3.11. სტრატეგიის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება
- 3.12. სტრატეგიის განხორციელების შესახებ კომუნიკაცია და ინფორმირების ღონისძიებები

1. შესავალი

სსიპ კოლეჯის „აისი“ განვითარების 2020–2027 წლების სტრატეგია კოლეჯში პროფესიული განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტია, რომელიც კოლეჯის მისიის, მიზნებისა და მათი მიღწევის პოტენციურ შესაძლებლობებს შორის შესაბამისობას ადგენს, რაც უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან განაწილებას, გარე სამყაროსთან ორგანიზაციის ადაპტირებას, შინაგან კოორდინაციასა და ორგანიზაციული სტრატეგიის შეცნობას. სტრატეგიული განვითარების გეგმა - კოლეჯის მიერ, მრავალწლიან პერსპექტივაში, დანახულ განვითარების მიმართულებებს ასახავს, რომელიც გვეუბნება, თუ რა მასშტაბური ნაბიჯების გადადგმა სურს ორგანიზაციას. სტრატეგიული განვითარების გეგმა წარმოადგენს გრძელვადიანი დაგეგმვის დოკუმენტს, რომელიც აღწერს კოლეჯის დღევანდელ და სამომავლო განვითარების პრიორიტეტებსა და საქმიანობებს. იგი მოიცავს გრძელვადიან ხედვებს, სტრატეგიულ მიზნებს და ამოცანებს. სტრატეგიული გეგმა გათვლილია 7 წელზე და მისი გადახედვა მოხდება სულ მცირე ყოველ 1 წელიწადში ერთხელ.

გეგმის მიზანია გამოკვეთოს პრიორიტეტები და სტრატეგიული მიმართულებები, რომლითაც კოლეჯი იხელმძღვანელებს განვითარების პროცესში. სტრატეგია წარმოადგენს კოლეჯის დირექციის, ადმინისტრაციის, ყველა თანამშრომლის, სტუდენტების და სხვა დაინტერესებული მხარეების ხედვას და სრულ თანხვედრაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების სამომავლო განვითარების ხედვასთან.

სტრატეგია შემუშავებულია დაინტერესებულ მხარეებთან ფართო კონსულტაციის საფუძველზე. მასში ასახულია დამსაქმებლების, პროფესიული განათლების სპეციალისტების, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლების ექსპერტული მოსაზრებები. პროცესის თვითოეულ ეტაპზე მათმა ჩართულობამ, ერთის მხრივ, გააძლიერა კოლეჯის სტრატეგიული განვითარების ლეგიტიმაცია და მეორეს მხრივ, გაზარდა ეფექტურობის ხარისხი.

სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტები, რომლებმაც ქვეყანაში სიღარიბის შემცირებას, თანასწორობასა და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობას და ჩამოყალიბებას უნდა შეუწყოს ხელი, ასევე ის ფართო რეფორმები, რომლებიც უკავშირდება ეკონომიკის დინამიურ ზრდასა და განვითარებას. სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა ეროვნული და სექტორული პრიორიტეტები, განათლების, განსაკუთრებით კი პროფესიული განათლების ამჟამინდელი გამოწვევები და მათი გადაჭრის ევროპული თუ სხვა ქვეყნების გამოცდილება; სტრატეგია ასევე ასახავს იმ ცვლილებებს, რომლებიც ევროკავშირისა და მისი მეზობელი ქვეყნების განათლების და მათ შორის პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარეობს.

სტრატეგია მოიცავს ინკლუზიური განათლების, ადამიანის და ბავშვთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის პრინციპებს. სტრატეგიის მიხედვით საზოგადოების ყველა ფენის უფლებაა მიიღოს პროფესიული განათლება, მიუხედავად მისი ამჟამინდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, თუ საცხოვრებელი ადგილისა.

სტრატეგიაში ჩამოყალიბებულია პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები, რომელთა განხორციელებამ კონკრეტული სამოქმედო გეგმის მიხედვით ხელი უნდა შეუწყოს კოლეჯის დინამიურ განვითარებას (ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები), ადამიანური რესურსების მდგრად გაუმჯობესებას (შესაძლებლობებისა და პოტენციალის განვითარებას, დასაქმების თუ თვითდასაქმების შესაძლებლობას, შემოსავლის მიღებას და თვითრეალიზებას), პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების და მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების განვითარებას, პროფესიული განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის

გაუმჯობესებას, დასაქმებაზე მიბმულ პროფესიულ მომზადებას/გადამზადებას, პროფესიული სტუდენტებისათვის მხარდამჭერი ღონისძიებების გატარებას, შრომის ბაზრის ამჟამინდელი თუ სამომავლო მოთხოვნების დაკმაყოფილებით რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას, სიღარიბის შემცირებას და კრიზისულ სიტუაციებში კოლეჯის მოქნილობას.

სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილების (პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ) და სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის 2020 წლის 2 მარტის N 02-01-52 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის გათვალისწინებით. სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას ასევე გათვალისწინებული იქნა EFQM სრულყოფის მოდელის (RADAR), ავტორიზაცია-აკრედიტაციის თვითშეფასებისა და გარე ვალიდატორების/ექსპერტების მიერ შესრულებული ანალიზის დოკუმენტები.

დამატებით, 2021 წლის ბოლოს და 2022 წლის დასაწყისში პროექტის - გენდერული თანასწორობისა და თანაბარი შესაძლებლობების ინტეგრირება რეგიონულ პროფესიული განათლების დაწესებულებებში ფარგლებში მოხდა სამუშაო ჯგუფის ფორმირება, გეგმის გენდერული შეფასება და იმ საკითხების ასახვა, რომელიც კოლეჯს დაეხმარება გენდერული თანასწორობის მიზანმიმართული პოლიტიკის შემუშავებაში.

სტრატეგიის წარმატებით განხორციელებაზე პასუხისმგებლობას იღებს კოლეჯი სამინისტროს, სააგენტოების, დამსაქმებლების, დასაქმებულებისა და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების, კოლეჯის მასწავლებლების, სტუდენტებისა და მათი მშობლების, მთლიანად, სამოქალაქო საზოგადოებისა და ყველა დაინტერესებული პირის აქტიური ჩართულობითა და მონაწილეობით.

2. სიტუაციის ანალიზი

2.1. პროფესიული განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობა

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მთელს მსოფლიოში მკაფიოდ გამოიკვეთა პროფესიულ საგანმანათლებლო სისტემის განვითარების ახალი გლობალური ტენდენციები, რამაც კოლეჯების მართვის, სწავლებისა და სწავლის ძირეული გარდაქმნა მოითხოვა. კოლეჯებს თავისი საქმიანობის წარმართვა უწევთ მეტად კონკურენტულ გარემოში, შესაბამისად მეტი ძალისხმევაა საჭირო კონკურენტუნარიანი კადრის მოსამზადებლად. მკაცრი კონკურენციის გარემოში კოლეჯების წარმატებული ფუნქციონირების ერთადერთი წინაპირობაა მათი მართვის და საქმიანობის ძირეული ტრანსფორმაცია. დინამიური გარემო საშუალებას არ იძლევა შევჩერდეთ მიღწეულ შედეგებზე, სხვა სიტყვებით, გარდაქმნის არსი კოლეჯის მართვის ადაპტირებადი სისტემის შექმნაში მდგომარეობს. ასეთი მოქნილი სისტემის შექმნის საფუძველია სტრატეგიული გეგმის შემუშავება და მისი იმპლემენტაცია.

საქართველოს კანონმა „პროფესიული განათლების შესახებ“ პროფესიული განათლების სისტემა საკმაოდ მოქნილი გახადა. პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, სოციალური ინკლუზიის, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა, საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და თავსებადობა.

პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად კანონის შესაბამისად ხელი უნდა შეეწყოს პროფესიული განათლების ყველასთვის თანაბარ ხელმისაწვდომობას, სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვანი ფორმების (სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და სხვა) და ინოვაციური მიდგომების შეთავაზებას ტექნოლოგიური განვითარების გათვალისწინებით,

პროფესიული განათლების ზოგად განათლებასა და უმაღლეს განათლებასთან კავშირის უზრუნველყოფას და პროფესიული განათლების სისტემის მოქნილობას, პროფესიული განათლების შრომის ბაზარზე არსებული და სამომავლო მოთხოვნებისთვის მორგებას და პირის დასაქმებისა და სამეწარმეო საქმიანობისთვის მომზადებას, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარებას, არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების შექმნას, კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემის განვითარებას, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების განვითარებას, შრომის ბაზარზე პირის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობას მისი პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების გზით, პროფესიული განათლების სფეროში სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობას, ფორმალურ განათლებაში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის განვითარებას, პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სისტემის ჩამოყალიბებას, პროფესიული სტუდენტისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის მოხილობის ხელშეწყობას, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და დანერგვას.

პროფესიული განათლების სისტემის განვითარებისთვის სერიოზულ რესურსად არიან წარმოდგენილნი სხვა სტრუქტურული ერთეულებიც, როგორცაა:

- ❖ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი;
- ❖ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
- ❖ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
- ❖ რესურს ცენტრები.

საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევაა დასაქმების ზრდა და უმუშევრობის დონის შემცირება, რაც ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. ამასთან, უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ზრდის მიმართულებით ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებლად, მნიშვნელოვანია უმუშევრობისა და დასაქმების კომპონენტების საფუძვლიანი ანალიზი, როგორც მიწოდების, ასევე მოთხოვნის მხრივ. ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურმა რეფორმებმა განაპირობა მზარდი მოთხოვნა კვალიფიციურ და პროფესიულ კადრებზე. მოსახლეობას გაუჩნდა სურვილი პროფესიული მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების. პროფესიულ კოლეჯებს მიმართავენ როგორც საბაზო განათლების, ასევე საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე პირები. ქვეყანაში არსებული მაღალი უმუშევრობის დონის მიუხედავად, არსებულ ვაკანსიებზე მაღალი მოთხოვნა ფიქსირდება, რაც თავისთავად განაპირობებს შრომის ბაზარზე მაღალ კონკურენციას და ცოდნის და კვალიფიკაციის გაზრდის მოტივაციას. დღევანდელი კვლევების მიხედვით ყველაზე დიდი მოთხოვნა ფიქსირდება სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, მომსახურების, ჯანდაცვის, ხელოვნების და ტურიზმის სფეროებში.

კოლეჯ „აისის“ სტუდენტთა გენდერული სტატისტიკა, გვიჩვენებს, რომ კოლეჯის სტუდენტთა და მსმენელთა შორის ქალები/გოგონები დაახლოებით 2-ჯერ ნაკლებად არიან წარმოდგენილი ვაჟებთან/კაცებთან შედარებით. შშმპ და სსსმ სტუდენტთა შორისაც კაცები ჭარბობენ ქალებს. სწავლების შემდგომ დასაქმების მაჩვენებლებშიც კაცების დასაქმების მაჩვენებლები პროცენტულად უფრო მაღალია ქალთა დასაქმების მაჩვენებლებთან შედარებით. შესაბამისად, ყურადღება უნდა მიექცეს კოლეჯის სტუდენტთა და მსმენელთა შორის გოგონათა/ქალთა რაოდენობის გაზრდას. ასევე, პრობლემატურია პროფესიული პროგრამების ტრადიციული გენდერული შეფერილობა, მათი დაყოფა სქესის ნიშნით, გენდერული ბალანსი არის მხოლოდ რამდენიმე პროფესიულ პროგრამაზე:

ხილისა და ბოსტნეულის დამუშავება, მეზღვევა, სტუდენტი ვაჭები ტრადიციულად ჭარბობენ მევენახეობის, ვეტერინარიის, ინფორმაციის ტექნოლოგიების, სატყეო საქმის, ელექტრობის, ქვის სამუშაოების წარმოების პროგრამებზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, პროფესიული განათლების განვითარების მხრივ, ერთ-ერთი ძირითად ხედვას წარმოადგენს სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში, რაც თავისთავად პოზიტიური მოვლენაა, მაგრამ კოლეჯებში არსებული მასწავლებლების გარკვეული ნაწილი საჭიროებენ გადამზადებას ზრდასრულ ადამიანებთან ადექვატურად სამუშაოდ. ასეთ პირობებში კი შეუძლებელია შრომის ბაზრის მოწესრიგება და სათანადო კადრებით არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილება. პროფესიული მომზადების ხარისხი დამოკიდებულია მასწავლებელთა კვალიფიკაციაზე. სასურველია გადამზადების პროგრამების გავლა პროფესიულ კოლეჯებში მომუშავე მასწავლებლებისათვის ახალი ტექნოლოგიების მიმართულებით. ამჟამად პროფესიული კოლეჯების 75 %-ს გავლილი აქვს სხვადასხვა ტიპის ტრენინგი. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ქვეყანაში არ არსებობს მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების მუდმივმოქმედი სისტემა. ქვეყანაში არსებული უმაღლესი სასწავლებლები არ ამზადებენ პროფესიული სწავლების მასწავლებლებს, რის გამოც კოლეჯებში ახალგაზრდა მასწავლებელთა სიმცირე აღინიშნება, თუმცა კოლეჯის „აისი“ პედაგოგიური კადრების საშუალო ასაკი 45 წელს შეადგენს. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება შესაძლებელია მხოლოდ ცალკეული პროექტების ფარგლებში. პროფესიული განათლების სისტემა ათწლეულების განმავლობაში არაპრიორიტეტულ სფეროს წარმოადგენდა, სადაც არც სიახლეების დანერგვა ხორციელდებოდა და შესაბამისად არც რეფორმების გატარებას ქონია ადგილი. ამის გამო მწირია გამოცდილება ისეთ საკითხებში, როგორცაა სოციალურ პარტნიორობის აქტიური ჩართულობის მექანიზმები, პროფესიული სტანდარტები და კვალიფიკაციები, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და მათი შეფასება, პერსონალის მომზადება/გადამზადება და სახელმძღვანელოებისა და საწავლო მასალების შემუშავება/შეფასება, თუმცა ამ მიმართულებით კოლეჯს „აისი“ უამრავი წარმატებული მაგალითები და საკმაოდ მდიდარი გამოცდილება აქვს. კანონის მიხედვით, პროფესიულმა კოლეჯებმა ინსტიტუციური ავტორიზაცია უნდა გაიარონ ახალი სტანდარტების შესაბამისად. ავტორიზაციის მიზანია დაწესებულების რესურსული შესაძლებლობების შესაბამისობის დადგენა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან. დღეისათვის ქვეყანაში უკვე არსებობს ხარისხის კონტროლის მექანიზმი ინსტიტუციურ და პროგრამულ დონეზე. ყოველწლიურად იხვეწება და სრულყოფილი ხდება ამ მხრივ მიდგომები რაც ხელს უწყობს სისტემის განვითარებას.

მთელს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა ცხადყო, რომ მნიშვნელოვანია კოლეჯმა პროფესიული განათლება უფრო მოქნილი გახადოს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც დღეს რეალურად დადგა დისტანციური ან/და კომბინირებული სწავლებაა. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე კოლეჯმა უნდა შეძლოს შესაძლებლობის ფარგლებში როგორც დისტანციური, ასევე კომბინირებული სწავლების დანერგვა.

2.2. რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები 1-7 წლის განმავლობაში

კახეთის რეგიონში არსებული ხელსაყრელი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით პრიორიტეტული მიმართულებებია სოფლის მეურნეობა, არქიტექტურა და მშენებლობა, ბიზნესის მენეჯმენტი, ადმინისტრირება, ფინანსები და შემოსავლები, ჯანდაცვის მეცნიერებები, ხელოვნება და წარმოების დიზაინი, პერსონალური მომსახურება და ტურიზმი, ინფორმაციული ტექნოლოგიები,

მრეწველობა, რემონტი, მონტაჟი და შეკეთება, ტრანსპორტი, დისტრიბუცია და ლოჯისტიკა. აღნიშნული სფეროებიდან მაღალი მოთხოვნა ფიქსირდება ისეთ პროფესიულ საგანმანათლებლო და მოკლევადიან მომზადებისა და გადამზადების პროგრამებზე, როგორცაა - მევენახეობა-მეღვინეობა, მეფუტკრეობა, ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავება, ვეტერინარია, მეხილეობა, მებაღეობა, პირუტყვის მოშენება ბიომეთოდებით, ბოსტნეული და ბალჩეული კულტურების წარმოება, ფრინველის მოშენება, ხეხილის ბაღის გაშენება და მოვლა, ფუტკრის მოვლა-პატრონობა, ვაზის ნერგის წარმოება და ვენახის შევსება ახალი ნერგით, ყურძნის გადამამუშავება და ვინიფიკაცია, ღვინის მოვლა, ტექნოლოგიური დამუშავება და ჩამოსხმა, ტყის აღდგენა გაშენება; იატაკისა და ფილის სამუშაოები, თაბაშირმუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი, ქვის სამუშაოების წარმოება, შემდუღებელი, ელექტრომემონტაჟი, სანტექნიკოსი, ელექტროობა, ხის მხატვრული დამუშავება, დურგალი, მიმტანი, ბარმენი, თმისა და სილამაზის მომსახურება, სავალი ნაწილის შეკეთება, ძიძა, ბულალტრული აღრიცხვა, საოფისე საქმე, საინფორმაციო ტექნოლოგიები, კულინარიის ხელოვნება, სასტუმრო საქმე, დისტრიბუტორი, მძღოლი; ხის მხატვრული დამუშავება, თექის დამზადება, მხატვრული ქსოვილები, მომინანქრება, კერამიკული ნაკეთობის დამზადება, ფარმაცია და საექთნო საქმე.

2.3. სსიპ კოლეჯში „აისი“ არსებული მდგომარეობის ანალიზი

2.3.1. სსიპ კოლეჯის „აისი“ საქმიანობის სამართლებრივი ბაზა

სსიპ კოლეჯი „აისი“ წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირია და მის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტრო. კოლეჯი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. ის ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით, „პროფესიული განათლების შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ამ წესდებითა და შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით. კოლეჯს აქვს დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგება, საბანკო/სახაზინო ანგარიში, ბეჭედი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები. კოლეჯის მთავარი ოფისი მდებარეობს მისამართზე: გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფელი კაჭრეთი. აქვს ფილიალები შემდეგ მისამართებზე: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი სამრეკლო; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სოფელი შრომა და ახმეტის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვემო ალვანი.

კოლეჯის მიზანია პროფესიული სტუდენტების/მსმენელების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა. თავისი მიზნების მისაღწევად კოლეჯის საქმიანობის საგანს წარმოადგენს: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება; მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება; პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელება; სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების განხორციელება; ტრენინგ კურსებისა და პროგრამების განხორციელება არაფორმალური განათლების ფარგლებში; ერთობლივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან/დაწესებულებებთან ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით; გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით.

ამ საქმიანობის გარდა, კოლეჯი უფლებამოსილია წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად: განახორციელოს ეკონომიკური საქმიანობა, მათ შორის, სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზაცია/ანაზღაურებადი მომსახურების გაწევა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ფინანსური სახსრების მოზიდვა, მათ შორის, შემოსავლის მიღება ისეთი ეკონომიკური საქმიანობიდან, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო არ არის და სწავლების ხარისხზე უარყოფითად არ მოქმედებს; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დააფუძნოს სამეწარმეო იურიდიული პირი ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;

2.3.2. კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სსიპ კოლეჯი „აისი“ მდიდარი ტრადიციების მქონე სასწავლებელია, რომელიც საქართველოში სოფლის მეურნეობის, ინჟინერიის, ტურიზმის, მომსახურების, ხელოვნების, ბიზნეს - ადმინისტრირების, ინფორმაციის და კომუნიკაციების ტექნოლოგიების და ჯანდაცვის სფეროებში კადრების მომზადების ერთ-ერთ ძირითად კერას წარმოადგენს. კოლეჯს ღირსეული ადგილი უკავია საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში და ერთ-ერთი წამყვანი დაწესებულებაა. წლების განმავლობაში კოლეჯში მეტად მნიშვნელოვანი გარდაქმნები მიმდინარეობს, რომელიც მოიცავს როგორც ადმინისტრაციული სტრუქტურის რეორგანიზაციას, ასევე სტუდენტური სერვისების დანერგვას, სასწავლო პროცესების თვისობრივ გარდაქმნას, განახლებას და ინფრასტრუქტურის სრულყოფას. სწორედ ამ ძირითადი კომპონენტების ინტეგრაცია უდევს საფუძვლად კოლეჯის ძირითად საქმიანობას.

კოლეჯს აქვს რამდენიმე ძირითადი ნაგებობა: სასწავლო კორპუსები, საერთო საცხოვრებელი, ღვინის სახლი, ხელოვნების სახლი. პრაქტიკული სწავლებისათვის მოწყობილი და აღჭურვილია სახელოსნოები, მეცხოველეობის თანამედროვე ფერმა, საფუტკრე მეურნეობა, მინი საკონსერვო საწარმო.

ამჟამად კოლეჯი წარმოადგენს თანამედროვე დონეზე რეაბილიტირებულ, ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას. ადგილზეა თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობის ბაზები, კეთილმოწყობილია ღია და დახურული სპორტული კომპლექსი. თანამედროვე მოთხოვნათა დონეზეა მოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები და ბიბლიოთეკა. ინტერნეტით უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკა. კოლეჯს აქვს 300 სტუდენტზე გათვლილი კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებელი. კეთილმოწყობილი და რეაბილიტირებულია კოლეჯის ფილიალებიც. კოლეჯი თავისი მატერიალური რესურსების გამოყენებით ქმნის კომფორტულ და სასიამოვნო გარემოს. სასწავლო პროცესისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოწყობილია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. მოთხოვნადი პროფესიების დამატებისათვის კოლეჯი საჭიროებს ახალი სახელოსნოების მშენებლობას და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას.

2.3.3. კოლეჯში არსებული სასწავლო პროგრამები:

N	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე	კოდის მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვან სტუდენტებისთვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვან სტუდენტებისთვის	ადგილების რაოდენობა ზღვრული	პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები
1	სატყეო საქმე	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში 0821	48	78	30	გურჯაანი მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
						30	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სოფელი შრომა
2	ინფორმაციის ტექნოლოგია	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612	60	75	30	გურჯაანი მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
3	მეხილეობა (კურკოვანი კულტურები) დუალური	მეოთხე საფეხური	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (კურკოვანი კულტურები/თესლოვანი კულტურები/კაკლოვანი კულტურები) 010166	53	83	30	გურჯაანი მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
4	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში 0732	58	73	30	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სოფელი შრომა
5	იატაკისა და ფილის სამუშაოებში	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში 0732	82	97	30	გურჯაანი მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
6	ქვის სამუშაოების წარმოება	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობაში 0732	58	73	30	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი სამრეკლო
7	მეთევზეობა (ფერმერობა)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული	100	130	15	ახმეტის

	მეთევზეობაში) დუალური		კვალიფიკაცია მეთევზეობაში 0831				მუნიციპალიტეტი სოფელი ქვემო ალვანი
8	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი	მეხუთე საფეხური	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112063	95	125	30	გურჯაანი მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
						30	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სოფელი შრომა
						30	ახმეტის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვემო ალვანი
9	მეფუტკრე	მესამე საფეხური	მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010353	68	83	30	გურჯაანი მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
10	ელექტრობა	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრობაში 0713	52	67	30	გურჯაანი მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
						40	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი სამრეკლო
11	ფილამწობი	მესამე საფეხური	ფილამწობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040682	68	83	28	გურჯაანი მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
12	მხატვრული ქსოვილები	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მხატვრულ ქსოვაში 0214	75	90	30	ახმეტის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვემო ალვანი
13	თექის ოსტატი	მესამე საფეხური	თექის ოსტატის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080382	66	81	30	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი სამრეკლო
						30	ახმეტის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვემო ალვანი

14	თმის სტილისტი	მესამე საფეხური	თმის სტილისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080385	61	76	30	გურჯაანი მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
						40	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი სამრეკლო
15	ტუროპერატორი	მეხუთე საფეხური	ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112062	94	124	26	გურჯაანი მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
16	ფარმაცევტის თანაშემწე	მეოთხე საფეხური	ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090351	88	118	30	გურჯაანი მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
17	მევენახეობა-მელვინეობა (მოდულური)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მევენახეობა და მელვინეობაში 0811	88	118	30	გურჯაანი მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
18	მევენახეობა-მელვინეობა (დუალური)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მევენახეობა და მელვინეობაში 0811	88	118	30	გურჯაანი მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
19	მეცხოველეობა(მესაქონლეობა) დუალური	მეოთხე საფეხური	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მეცხოველეობაში (მესაქონლეობაში) 010363	53	83	30	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი სამრეკლო
20	თმისა და სილამაზის მომსახურება	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში 1012	57	72	30	გურჯაანი მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
						30	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი სამრეკლო
						24	ახმეტის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვემო ალვანი
21	მომინანქრება	მესამე დონე	საბაზო პროფესიული	61	76	30	ახმეტის

			კვალიფიკაცია მომინანქრებაში 0214				მუნიციპალიტეტი სოფელი ქვემო ალვანი
22	ხილისა და ბოსტნეულის გადამმზავება (დუალური)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასურსათო პროდუქტების წარმოებაში 0721	85	115	15	გურჯაანი მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
23	ვეტერინარია	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში 0841	120	150	30	გურჯაანი მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
24	ბუღალტრული აღრიცხვა	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99	129	15	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი სამრეკლო
						15	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სოფელი შრომა
25	ხის მხატვრული დამუშავება	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში 0214	85	100	30	გურჯაანი მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
26	კულინარიის ხელოვნება	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში 1013	80	95	30	გურჯაანი მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი

კოლეჯის დირექცია, ადმინისტრაცია და მასწავლებელთა გუნდი მუდმივად მუშაობს სასწავლო პროგრამების სისტემატიურ სრულყოფასა და დახვეწაზე. შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით სისტემატიურად ხდება ახალი პროგრამების დამატება.

2.3.4. ძირითადი გამოწვევები

კოლეჯის და ზოგადად პროფესიული განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა დაინტერესებულ მხარეებთან მუდმივი დიალოგის საფუძველზე მძლავრი პროფესიული განათლების სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება. სოციალური პარტნიორობის ჩართულობის და მათი მოტივირების უფრო მეტად გააქტიურება. მათი მონაწილეობა - გადაწყვეტილებების მიღების, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დანერგვისა და მონიტორინგის პროცესში. სოციალური პარტნიორობის ნაწილი კრიტიკულად არიან განწყობილები იმასთან დაკავშირებით, რომ პროფესიულ განათლებას შეუძლია შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება, ხოლო კოლეჯების კურსდამთავრებულებს დასაქმება მნიშვნელოვან და კარგად ანაზღაურებად პოზიციებზე.

პრობლემაა მონიტორინგის ერთიანი სისტემის არ არსებობა (სტატისტიკა გენდერულ და ასაკობრივ ჭრილში ჩაშლილი, ინდიკატორები და ანალიზი), რაც ხელს შეუწყობდა პოლიტიკის შემუშავებისა და დაგეგმვის პროცესში მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას.

არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გეოგრაფული ხელმსაწვდომობა შეზღუდულია. გარკვეულად წინააღმდეგობრივია მიდგომა, ერთის მხრივ გაუმჯობესდეს რეგიონალური დაფარვა, დაკმაყოფილდეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები, წახალისდნენ ადგილობრივი სტუდენტები და მეორეს მხრივ სპეციალობები მეტად დაუახლოვდეს კონკრეტული სპეციალობების პოტენციურ დამსაქმებლებს. საჭიროა კოლეჯმა უზრუნველყოს პროფესიული განათლების პროვაიდერებს შორის კავშირის გაძლიერება.

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისათვის უმნიშვნელოვანესია დაფინანსების საკითხი; ეს განსაკუთრებით ეხებათ მოწყვლად ჯგუფებს და იმ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთა სწავლებისათვის ძვირადღირებული აღჭურვილობა და მასალებია საჭირო;

პროფესიული სტანდარტების მომზადება უნდა იყოს დინამიური პროცესი, ვინაიდან ტექნოლოგიების, მომხმარებლისა და ბაზრის მოთხოვნების უწყვეტი ცვლილება დროთა განმავლობაში უნარების დახვეწასა და გაუმჯობესებას საჭიროებს.

სტუდენტები და დამსაქმებლები ზოგიერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფრაგმენტულობაზე მიუთითებენ. ზოგიერთი პროგრამა ძირითადად ტრადიციულია, რაც ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნების მიმართ მათ ნაკლებად მოქნილს ხდის. მოზარდებისათვის პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად პროგრამების ხანგრძლივობა ხშირად არასაკმარისია, ხოლო ზრდასრულთათვის შინაარსია არარელევანტური, რადგან ნაკლებად შეესაბამება შრომის ბაზრის არსებულ თუ სამომავლო მოთხოვნებს და ტექნოლოგიებს. საგანმანათლებლო პროგრამებში ძირითადი აქცენტი კეთდება პროფესიული კომპეტენციების განვითარებაზე და ნაკლები-საკვანძო კომპეტენციების ინტეგრირებაზე. ასეთი ტიპის პროგრამები საჭიროებს გადახედვას. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიმართ მიდგომა დეცენტრალიზებულია, თუმცა მათი მომზადებისათვის საჭირო შესაძლებლობების გაუმჯობესების ღონისძიებები - არასაკმარისი.

დღეისათვის არ არსებობს პროფესიული მასწავლებლების მომზადების, პროფესიაში შესვლისა და უწყვეტი პროფესიული გადამზადების სისტემა. პროფესიული მასწავლებლების მომზადება სისტემის დონეზე არ ხდება, რაც უზრუნველყოფდა ახალი და კვალიფიციური კადრების უწყვეტ განვითარებას; იგივე ითქმის მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ მომზადებაზე. პროფესიული მასწავლებლების დასაქმების ამჟამინდელი პრაქტიკა არ არის წახალისებელი, და გარკვეულად ეწინააღმდეგება კიდევ კვალიფიციური პროფესიული მასწავლებლების მომზადებისათვის საჭირო მიდგომას. მათ შორისაა მოკლევადიანი და წყვეტილი შრომითი ხელშეკრულებები, დაბალი ანაზღაურება, პროფესიული განვითარების შესაძლებლობა და სხვა. სწავლება-შეფასების საკითხებთან დაკავშირებული გარკვეული ტრენინგები ხელმისაწვდომია, თუმცა ნაკლებად ხდება მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება კონკრეტული დარგების მიხედვით ან/და სპეციალობის ფარგლებში. შედეგად, სწავლების ხარისხი განსხვავდება, რაც გარკვეულწილად საგანმანათლებლო რესურსების არათანაბარი ხელმისაწვდომობითაცაა განპირობებული (აღჭურვილობა, მასალები, პრაქტიკული სწავლების ბაზა). საჭიროა კოლეჯის მასწავლებელთა კომპეტენციების და სასწავლო პროცესის შეფასება პროგრამების მიხედვით, რათა არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ხარისხის გასაუმჯობესებლად შესაძლებელი გახდეს შესაბამისი ინოვაციური მიდგომების დანერგვა .

პროფესიული განათლების კურსდამთავრებულების დასაქმებისთვის მომზადებასა და დასაქმებაზე მთელი რიგი ფაქტორები ახდენს გავლენას. მათ შორისაა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი, ადგილობრივ, ეროვნულ თუ საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა და მინიჭებული კვალიფიკაციების ნაკლები მნიშვნელობა როგორც დასაქმების, ასევე განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების თვალსაზრისით.

კოლეჯი ნაკლებად ეხმარება კურსდამთავრებულებს საკუთარი ბიზნესის წამოწყებასა და ბიზნესის მართვის პროცესში. ბევრი პროფესიული სტუდენტისათვის სწავლის პროცესში გავლილი პრაქტიკა მუშაობის თვალსაზრისით პირველი გამოცდილებაა, თუმცა ამგვარი პრაქტიკა ნაკლებად შეესაბამება რეალურ, უწყვეტ სამუშაო გარემოს მოთხოვნებს; ზრდასრულებს მუშაობის მეტი გამოცდილება აქვთ და სამუშაო გარემოც მათთვის უფრო ნაცნობია, თუმცა მაინც საჭიროა მათთვის ინფორმაციის მიწოდება არჩეული კარიერის გამოწვევების თუ შესაძლებლობების შესახებ. კურსდამთავრებულების თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია მცირე ბიზნესის მართვის უნარების განვითარება, ფინანსური თუ მარეგულირებელი მოთხოვნების ცოდნა და იმისათვის მომზადება, რომ მომხმარებლისათვის არა მხოლოდ პროდუქტის თუ სერვისების მიწოდებაა საკმარისი, არამედ მნიშვნელოვანია მომავალი მომხმარებლის მოთხოვნილებების გათვალისწინება და სერვისის ალტერნატიულ მიმწოდებლებთან კონკურენციის გაწევა.

პროფესიული კურსების შერჩევისას და სწავლის დაგეგმვისას სტუდენტებისათვის მნიშვნელოვანია კარიერული რჩევების/კონსულტაციის მიღება როგორც სწავლის დაწყებამდე, ასევე სწავლის პროცესში. ეს პროცესი სტუდენტის ინტერესების მახასიათებლებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით უნდა დაიგეგმოს და სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდოს მათი დასაქმების პერსპექტივების შესახებ. კარიერული განვითარებისა და პროფესიული ორიენტაციის სისტემა სუსტია როგორც პროფესიული განათლების დაწყებამდე (რაც სკოლის მოსწავლეებისათვის და მოზარდებისათვის უზრუნველყოფილ უნდა იყოს სკოლაში, ხოლო ზრდასრულებისათვის პროგრამაზე ჩარიცხვამდე), ასევე სწავლის პროცესში (როდესაც დისციპლინის ფარგლებში ხდება არჩევანის გაკეთება, ან/და დასაქმების პერსპექტივების გაცნობა). არსებული კარიერული ორიენტაცია უფრო მეტად ორიენტირებულია იმაზე, რომ სასწავლებლებს საგანმანათლებლო პროგრამებზე აბიტურიენტების ჩარიცხვაში დაეხმაროს და ნაკლებად იმაზე, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი შეუსაბამოს აბიტურიენტების პიროვნულ შესაძლებლობებს, ან/და სტუდენტების შესაძლებლობები შეუსაბამოს მათი დასაქმების შესაძლებლობას და კარიერულ განვითარებას.

ამასთანავე, კარიერული რჩევების/კონსულტაციის გაცემისას დაძლეული უნდა იყოს გენდერული სტერეოტიპები, რომელიც პროფესიულ პროგრამებს „ქალურ“ ან „მამაკაცურ“ პროფესიებად ყოფს. კოლეჯმა ამ მიმართულებით, უნდა ჩამოაყალიბოს ინვაციური, თანამედროვე მიდგომა, პროფესიულ პროგრამების სტუდენტთა შორის გენდერული ბალანსის ხელშესაწყობად. შესაძლებელია დონორებთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, საინფორმაციო კამპანიების წარსამართად და საუკეთესო როლური მოდელების პოპულარიზაციისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული განათლების მიმართ დამოკიდებულება იცვლება და მასზე მოთხოვნაც იზრდება, ბევრი სკოლადამთავრებულისათვის თუ მოსწავლისათვის ის ჯერ კიდევ არ წარმოადგენს აკადემიური განათლების თანასწორ ან უფრო

მიმზიდველ საგანმანათლებლო ალტერნატივას; ასევე, ზრდასრულებისათვის, რომელთაც არასტაბილური დასაქმების პრობლემა აქვთ, პროფესიული განათლება ნაკლებად განიხილება შემოსავლის მომტან თუ კარიერული განვითარების ალტერნატივად. ამგვარი უარყოფითი დამოკიდებულების გამომწვევ მიზეზებს შორისაა: წარსულში პროფესიული განათლების დაბალი ხარისხი, საზოგადოების ნაკლები ინფორმირებულობა. საერთო ჯამში ნაკლებია პროფესიული განათლების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეზღუდული რესურსები აქვთ ინფორმაციის მიწოდებისა და კარიერული კონსულტაციის თვალსაზრისით სკოლის მოსწავლეებისათვის, სტუდენტებისა და ზრდასრულებისათვის. დაბალია ადგილობრივი თვითმმართველობების ინფორმირება პროფესიული განათლების თუ მიმდინარე რეფორმების შესახებ. მნიშვნელოვანია კოლეჯში ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც თანაბარ ყურადღებას მიაქცევს როგორც ზრდასრულთა განათლების საჭიროებას, ასევე ახალგაზრდებისათვის საგანმანათლებლო შესაძლებლობების გაფართოებას. ამისათვის სჭირია პროფესიული განათლება უკეთ მოერგოს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების, განსხვავებული სამუშაო გამოცდილების, შესაძლებლობებისა და უნარების მქონე პირების საჭიროებებს; ეს უკანასკნელი მოიცავს შშმ პირებს, სხვადასხვა ფიზიკური და ფსიქიკური საჭიროების მქონე პირებს, სხვადასხვა სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში მცხოვრებ პირებს და ა.შ. საჭიროა მეტი აქცენტის გაკეთება მოზარდებისა და ზრდასრულების საკვანძო კომპეტენციების განვითარებაზე, რაც მათი სოციალური და კარიერული განვითარებისათვისაა მნიშვნელოვანი.

2.3.5. კოლეჯის სტატისტიკის დინამიკა გენდერული ნიშნით

გენდერული სტატისტიკის მიზანია: მიუკერძოებელი მონაცემების წარმოება ქალისა და კაცის, გოგონებისა და ბიჭების სტატუსისა და გენდერული თანასწორობის რეალური ვითარების შესახებ. სქესის ნიშნით დიფერენცირებული სტატისტიკური აღრიცხვის მიხედვით მონაცემთა შეგროვების სრულყოფა და გაფართოება მეტად მნიშვნელოვანია გენდერულ თემატიკის დანერგვის დროს. მიღებული მონაცემები მიღწეული პროგრესის კრიტიკულად შეფასების და იმ სფეროების დასაფიქსირებლად არის საჭირო, რაზეც მეტი ყურადღება მისაქცევი. მტკიცებულებაზე დაყრდნობით შემუშავებული პოლიტიკა მიმართულია ქალთა და კაცთა, გოგონებისა და ბიჭების სოციალურ ჩართულობის გაზრდაზე.

სტრატეგიული დოკუმენტის ამ პუნქტში ასახულია გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები თითოეული სქესისთვის ცალ-ცალკე. გენდერული ნიშნით სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება ხელს უწყობს განათლების სისტემაში და კერძოდ კოლეჯში გენდერული ნიშნით არსებული გამოწვევების წარმოჩენას და ინფორმირებულობას, ასევე გენდერული თანასწორობის მიზანმიმართული პოლიტიკის შემუშავებას. მონაცემები ემყარება კოლეჯის ადმინისტრაციულ წყაროებს.

პროფესიულ განათლებაში მონაწილეობა ასაკობრივი ჯგუფებისა და გენდერული მაჩვენებლის მიხედვით

1) დემოგრაფიული მდგომარეობა /კონტიგენტი:

კოლეჯში 2020 წლის მონაცემებით სულ სწავლობდა 546 სტუდენტი/მსმენელი. აქედან, 432 სტუდენტი და 114 მსმენელი. სტუდენტებიდან 86 გოგო/ქალი და 346 ბიჭი/კაცი. 18 წლამდე 4 სტუდენტი გოგო, აქედან 1 სსსმ. 18-ზემოთ 82 გოგონა/ქალი და აქედან, 3 სსსმ. 18 წლამდე 41 სტუდენტი ბიჭი, აქედან 3 სსსმ. 18 წლის ზემოთ 305 ბიჭი/კაცი და აქედან 6 სსსმ. კოლეჯის 114 მსმენელიდან 36 გოგო/ქალი და 78 ბიჭი/კაცი. 18 წლამდე 2 მსმენელი გოგო, 18-ზემოთ 34 გოგონა/ქალი, არც ერთი სსსმ. 18 წლამდე 12 მსმენელი ბიჭი, არც ერთი სსსმ. 18 წლის ზემოთ 66 ბიჭი/კაცი და არც ერთი სსსმ.

კოლეჯის 2021 წლის მონაცემებით ჩაირიცხა 701 სტუდენტი/მსმენელი აქედან 470 სტუდენტი და 231 მსმენელი. მათგან 157 გოგო/ქალი და 313 ბიჭი/კაცი. 15-18 წლამდე 19 სტუდენტი გოგო, აქედან 2 სსსმ. 18-ზემოთ 138 გოგონა/ქალი და აქედან, 4 სსსმ. 18 წლამდე 46 სტუდენტი ბიჭი, აქედან 4 სსსმ. 18 წლის ზემოთ 267 ბიჭი/კაცი და აქედან 11 სსსმ. კოლეჯის 231 მსმენელიდან 92 გოგო/ქალი და 139 ბიჭი/კაცი. 18 წლამდე 3 მსმენელი გოგო, . 18-ზემოთ 89 გოგონა/ქალი, არც ერთი სსსმ. 18 წლამდე 5 მსმენელი ბიჭი, არც ერთი სსსმ. 18 წლის ზემოთ 134 ბიჭი/კაცი და არც ერთი სსსმ. მათ შორის, 18 წლამდე 1 ბიჭი შშმ და 18 წლის ზემოთ 1 გოგო/ქალი და 5 ბიჭი/კაცი.

2020 -2021 წლების მონაცემებით კოლეჯში სულ სწავლობს იძულებით გადაადგილებული სტუდენტების რაოდენობა 8 აქედან, 6 ბიჭი და 2 გოგო, 18 წელს ზემოთ. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი 1 ბიჭი და 1 გოგო 18 წელს ზემოთ.

სტუდენტთა/მსმენელთა დაქორწინებულთა და განქორწინებულთა რაოდენობა, დაქორწინებული სტუდენტთა/მსმენელთა რაოდენობა 2020 წლის მონაცემებით შეადგენს 27 სტუდენტს 7 გოგო/ქალი და 20 ბიჭი/კაცი. არც ერთი 18 წლამდე დაქორწინებული. დაქორწინებულ ი სტუდენტთა/მსმენელთა რაოდენობა 2021 წლის მონაცემებით შეადგენს 36 სტუდენტს 12 გოგო/ქალი და 24 ბიჭი/კაცი. არც ერთი 18 წლამდე დაქორწინებული. ადრეული ქორწინებების არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა ამ დროის მანძილზე.

2020-2021 წლის მონაცემებით 2 სტუდენტი გადავიდა სხვა სასწავლებელში მობილობით, ერთი გოგო 18 წელს ზემოთ და ერთი ბიჭი 18 წელს ქვემოთ.

მინიმალურია იმ სტუდენტთა რაოდენობა რომლებმაც მიატოვა სასწავლებელი ან გადავიდა სხვა სასწავლებელში სულ, 2 სტუდენტი გადავიდა სხვა სასწავლებელში მობილობით. აქედან ერთი გოგო 18 წელს ზემოთ და ერთი ბიჭი 18 წელს ქვემოთ.

2) განათლება:

2020 წლის მონაცემებით, კოლეჯში ჩარიცხული 432 სტუდენტიდან ჩარიცხვისას საბაზო და სრული ზოგადი განათლების მქონე სტუდენტთა 18% იყო 18 წლამდე გოგონა და 13 % ბიჭი. 18 წლის ზემოთ 48% გოგონა/ქალი და 21% ბიჭი/კაცი.

2021 წლის მონაცემებით, კოლეჯში ჩარიცხული 470 სტუდენტიდან ჩარიცხვისას საბაზო და სრული ზოგადი განათლების მქონე სტუდენტთა 19% იყო 18 წლამდე გოგონა და 15 % ბიჭი. 18 წლის ზემოთ 45% გოგონა/ქალი და 21% ბიჭი/კაცი.

2020 წლის მონაცემებით ჩარიცხულ სტუდენტთა შორის უკვე პროფესიული განათლების მქონე: 24 სტუდენტია აქედან, 18 წლამდე 2 გოგონა და 5 ბიჭი. 18 წლის ზემოთ 7 გოგო/ქალი და 10 ბიჭი/კაცი.

2021 წლის მონაცემებით ჩარიცხულ სტუდენტთა შორის უკვე პროფესიული განათლების მქონე 14 სტუდენტია აქედან, 18 წლამდე 1 გოგონა და 4 ბიჭი. 18 წლის ზემოთ 3 გოგო/ქალი და 6 ბიჭი/კაცი.

2020 წლის მონაცემებით უმაღლესი განათლების მქონე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა: რივი 2020 წლის მონაცემებით: სულ 20, მათგან 40% (8) გოგო/ქალი და 60%(12) ბიჭი/კაცი.

2021 წლის მონაცემებით უმაღლესი განათლების მქონე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა:რივი 2021 წლის მონაცემებით: სულ 16, მათგან 31% (5) გოგო/ქალი და 69%(11) ბიჭი/კაცი.

2020-2021 წლების მონაცემებით ძირითადად კოლეჯის საგანმანათლებლო სწავლების ინტეგრირებულ პროგრამებზე სტუდენტთა საერთო რაოდენობა 89, აქედან 18 წლამდე 5 გოგო და 20 ბიჭი. 18 წლის ზევით 5 გოგო/ქალი და 59 ბიჭი/კაცი.

მოდულურ პროგრამებზე სტუდენტთა საერთო რაოდენობა არსებული დროისათვის შეადგენს 746 სტუდენტს, მათ შორის 18 წლამდე 19 გოგო და 61 ბიჭი. 18 წლის ზემოთ 203 გოგო/ქალი და 463 ბიჭი/კაცი.

დუალური ტიპის სწავლებაში ჩართულ სტუდენტთა რაოდენობა ასაკობრივ და გენდერულ ჭრილში ჩაშლილი: 18 წლის ზემოთ 5 გოგო, 29 ბიჭი.

დისტანციური, ჰიბრიდული, ონლაინ პლატფორმებისა და თანამედროვე სასწავლო ონლაინ პროგრამების გამოყენებით მოსარგებლე სტუდენტები დღეის მდგომარეობით კოლეჯს არ ყავს.

2020 წლის მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების სწავლება გავლილ და სახელმწიფო სერთიფიკატ მიღებულ კურსდამთავრებულთა საერთო მაჩვენებელი 68, მათ შორის 18 წლამდე 1 გოგო, 7 ბიჭი; 18 წლის ზემოთ 13 გოგო/ქალი და 47 ბიჭი/კაცი.

2021 წლის მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების სწავლება გავლილ და სახელმწიფო სერთიფიკატ მიღებულ კურსდამთავრებულთა საერთო მაჩვენებელი 211, მათ შორის 18 წლამდე 3 გოგო, 5 ბიჭი; 18 წლის ზემოთ 89 გოგო/ქალი და 114 ბიჭი/კაცი.

„ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების მხარდაჭერი მომსახურების მოდელით 2021 წლის მონაცემები შემდეგია: 18 წლამდე სსსმ პირი 2 გოგო და 5 ბიჭი; 18 წლის ზემოთ 4 სსსმ გოგო/ქალი და 10 ბიჭი/კაცი. მათ შორის, 18 წლამდე 1 ბიჭი შშმ და 18 წლის ზემოთ 1 გოგო/ქალი და 5 ბიჭი/კაცი შშმ.

2020 წლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი 18-მდე 3 გოგო და 5 ბიჭი სსსმ პირი. 18-ის -ზემოთ 3 გოგო/ქალი და 2 ბიჭი კაცი. აქედან შშმ პირები არიან 18-მდე 1 გოგო და 3 ბიჭი. ; 18-ის ზემოთ 18-ზემოთზემოთ 3 ბიჭი/კაცი.

2021 წლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი 18-მდე 4 გოგო და 5 ბიჭი სსსმ პირი. 18-ის -ზემოთ 5 ბიჭი კაცი. აქედან შშმ პირი 18-მდე 1 ბიჭი; 18-ის ზემოთ 3 ბიჭი/კაცი.

3) სოციალური უზრუნველყოფა:

ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობის, სხვა სახელმწიფო/მუნიციპალური შეღავათებით მოსარგებლე სტუდენტთა/მსმენელთა რიცხოვნობა შემდეგია: 6 ბიჭი/კაცი და 2 გოგო/ქალი 18 წელს ზემოთ. საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების სტუდენტთა/ მსმენელთა რიცხოვნობა: 18 წლამდე 1 გოგო და 1 ბიჭი, 18-ზევით 5 გოგო/ქალი და 16 ბიჭი /კაცი. საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების სსსმ პირთა რიცხოვნობა: 18 წლამდე 1 გოგო და 1 ბიჭი; 18-ზემოთ 2 ბიჭი/კაცი, მათ შორის, ერთი სრულწლოვანი ბიჭია შშმ პირი.

4) შრომითი რესურსები, დასაქმება:

პროფესიულ განათლების მასწავლებლების მაჩვენებელი ასაკობრივ და გენდერულ ჭრილში: ქალი 25- 50 წლის, კაცი 15; 50 წლის ზემოთ ქალი 15, კაცი 15.

ინკლუზიური სწავლების გამოცდილების მქონე მასწავლებელთა ან ასისტენტთა მაჩვენებელი, სულ 4-ქალი, 25- 50 წლის 3 ქალი მასწავლებელი და 50 წლის ზემოთ 1 ქალი მასწავლებელი.

პროფესიულ განათლების მასწავლებლების გენდერული თანაფარდობა სასწავლო პროგრამების/ დისციპლინების მიხედვით სულ, 90 მასწავლებელიდან 65 ქალი და 25 კაცი მასწავლებელი.

N	პროგრამა	დასაქმებული			
			ანაზღაურება		ანაზღაურება

		ქალი	2020	2021		კაცი	2020	2021
1	ვეტერინარია					2	5578	25515
2	ბულალტრული აღრიცხვა	3	8332	18570				
3	ელექტრობა	2	35222	8430		2	12485	10035
4	თაბამირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი					1	12974	19425
5	თმისა და სილამაზის მომსახურება	7	48926	23729				
6	იატაკისა და ფილის სამუშაოები					4	58018	26175
7	ინფორმაციის ტექნოლოგია					1	19823	15780
8	კომპ.ქსელი და სისტემები ალბერტ ბეგრაკიანი					1		
9	კულინარიის ხელოვნება	1		6120		2	7410	30015
10	მევენახეობა-მელვინეობა	3	16854	11340		2	19375	7050
11	მომინანქრება	1	23747	10950				
12	მხატვრული ქსოვილები	2		6750				
13	სატყეო საქმე	1		1485		4	14341	12240
14	ქვის სამუშაოების წარმოება					1	16068	18945
15	ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავება	3	8760	7472				
16	ხის მხატვრული დამუშავება					1	1561	13320
17	მეფუტკრეობა	1				1	13860	15195
18	შედუღება					1	2340	7845
19	თექის დამზადება	4	15542	10845				
20	კერამიკული ნაკეთობის დამზადება					1	2130	10935
21	მებაღეობა					1		3390
22	მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება					1	660	8400
23	საოფისე საქმე	2	150	9825				
N	ინტეგრირებული მოდულები			დასაქმებული				
		ქალი		ანაზღაურება	კაცი	ანაზღაურება		
				2020	2021	2020		
	ფიზიკა	3		5807	9975			
1	მეცნიერება და ტექნოლოგიები	ქიმია	3		12826	15855		
		ბიოლოგია	1		3570	9525		

		გეოგრაფია	3	16798	7455		
2	კომუნიკაცია ქართულ ენაზე		2	15615	18510		
3	მოქალაქეობა		3	9960	2565		
4	მათემატიკური წიგნიერება		1	10942	7770		
5	მეწარმეობა		3	27308	18510		
ზოგადი მოდულები							
1	მეწარმეობა1;2;3.		1	12096	4590		
2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია		2	8093	7140		
3	ინფორმაციული წიგნიერება1;2		4	34266	20745		
4	რაოდენობრივი წიგნიერება		1	5471	4575		
5	სამოქალაქო განათლება		2	1525	1470		
6	უცხოური ენა		4	45081	30764		
7	გარემოსდაცვითი საფუძვლები ეკატერინე ბალარჯიშვილი		1		1485		
სულ			65			25	

სტუდენტების განაწილება სასწავლო დისციპლინების/პროგრამების მიხედვით: მევენახეობა-მეღვინეობა(დუალური) სწავლებაზე სწავლობს 27 სტუდენტი 18 წლის ზემოთ, 3 გოგო/ქალი და 24 ბიჭი/კაცი. თმისა და სილამაზის მომსახურება სწავლობს 95 სტუდენტი აქედან, 91 ქალი და 4 კაცი. იატაკისა და ფილის სამუშაოები სულ 40 სტუდენტი კაცი, არცერთი ქალი. 12 სტუდენტი 18 წლამდე, 28 სტუდენტი 18-ზევით. ინფორმაციის ტექნოლოგიაზე სტუდენტთა საერთო რაოდენობა 33 აქედან, 4 ქალი და 29 კაცი. 7 სტუდენტი 18 წლამდე და 26 სტუდენტი 18 წლის ზემოთ. მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება 29 სტუდენტი არც ერთი ქალი. 18 წლამდე-6 სტუდენტი და 18 ზემოთ -23. სატყეო საქმე (მოდულური) 45 სტუდენტი, 1 ქალი და 44 კაცი. ყველა 18 წლის ზემოთ. სატყეო საქმე-ინტეგრირებული 2 ქალი და 22 კაცი სტუდენტი, 6 სტუდენტი 18 წლამდე და 18 სტუდენტი 18 წლისზევით. ელექტრობა 86 სტუდენტი, 1 ქალი და 85 კაცი. 18 წლამდე 12 და 74 სტუდენტი -18 წლის ზემოთ. ხის მხატვრული დამუშავება 5 ქალი და 24 კაცი, 18 წლამდე 3 და 18 წლის ზევით 26. მეფუტკრეობა 7 ქალი და 13 კაცი ყველა 18 წლის ზემოთ. ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავება (მოდულური) 5 ქალი და 5 კაცი, ყველა 18 წლის ზევით. კომპიუტერული ქსელის და სისტემების -ინტეგრირებული 4 ქალი და 13 კაცი. 12 სტუდენტი 18 წლამდე და 5 სტუდენტი -18 წლის ზემოთ. მევენახეობა-მეღვინეობა(მოდულური) 7 ქალი და 10 კაცი, ყველა 18 წლის ზემოთ. მხატვრული ქსოვილები 30 ქალი არც ერთი კაცი. 1 გოგონა 18 წლამდე და 29 გოგონა/ქალი 18 წლის ზემოთ. მომინანქრება 18 ქალი და 11 კაცი, 1 სტუდენტი 18 წლამდე და 28 სტუდენტი 18 წლის ზემოთ. კერამიკული ნაკეთობის დამზადება 13 ქალი და 18 კაცი. 1 სტუდენტი 18 წლამდე და 30 სტუდენტი 18 წლის ზემოთ. თექის დამზადება 40 ქალი სტუდენტი და არც ერთი კაცი. 4 გოგო 18 წლის ქვემოთ და 36 გოგო/ქალი 18 წლის ზემოთ. თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი 37 კაცი და არც ერთი ქალი, 2 ბიჭი 18 წლამდე და 35 სტუდენტი 18-ზევით. საოფისე საქმე 20 ქალი და 12 კაცი, ყველა 18 წლის ზემოთ. მეზღვეობა(მოდულური) 5 ქალი და 10 კაცი ყველა 18 წლის ზემოთ. მეზღვეობა(ინტეგრირებული) 6 ქალი და 9 კაცი, 7 სტუდენტი 18 წლამდე და 8 სტუდენტი 18 წლის ზემოთ. ქვის სამუშაოების წარმოება 58

სტუდენტი კაცი და არც ერთი ქალი. 10 სტუდენტი 18 წლამდე და 48 სტუდენტი 18 წლის ზემოთ. შედუღება-ინტეგრირებული 15 კაცი სტუდენტი, არც ერთი ქალი. 1 სტუდენტი 18 წლამდე და 14 სტუდენტი 18 წლის ზემოთ. შედუღება(მოდულური) 15 სტუდენტი კაცი, არც ერთი ქალი, ყველა 18 წლის ზემოთ. კულინარიის ხელოვნება 11 ქალი და 20 კაცი სტუდენტი, 7 სტუდენტი 18 წლამდე და 24 სტუდენტი 18 წლის ზემოთ. ვეტერინარია 10 ქალი და 20 კაცი სტუდენტი, ყველა 18 წლის ზემოთ. ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავება-დუალური 2 ქალი და 5 კაცი სტუდენტი, ყველა 18 წლის ზემოთ. ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავება-ინტეგრირებული 4 სტუდენტი ქალი და 5 კაცი, 4 სტუდენტი 18 წლამდე და 5 სტუდენტი 18 წლის ზემოთ. ბუღალტრული აღრიცხვა ქალი 23 და 3 კაცი სტუდენტი, ყველა 18 წლის ზემოთ.

დასაქმებულ სტუდენტ/კურსდამთავრებულ სტუდენტთა 2020 წლის მონაცემები 204, აქედან 63 ქალი და 141 კაცი. თვითდასაქმებული: 15 ქალი და 58 კაცი;

დასაქმებულ სტუდენტ/კურსდამთავრებულ სტუდენტთა 2021 წლის მონაცემები 225, აქედან 94 ქალი და 131 კაცი. თვითდასაქმებული: 36 ქალი და 69 კაცი;

დაუსაქმებელ კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი: 2020 წლის მონაცემები 48 ქალი და 34 კაცი; 2021 წლის მონაცემები 39 ქალი და 72 კაცი;

5) დირექცია, ადმინისტრაცია:

სახელფასო ფონდის განაწილება გენდერული ნიშნით

2020 წლის მონაცემებით შრომის ანაზღაურება დასაქმებულ პერსონალზე, სულ 1,911,607.00 ლარი, მათ შორის კაცებზე გაცემული თანხა 786,854.00 ლარი და ქალებზე 1,124,753.00 ლარი. ხელფასებზე გაცემული საერთო თანხის 58.84% გაიცა თანამშრომელ ქალებზე ; საშუალო თვიური ხელფასი, 1,083.68 ლარი, მათ შორის კაცებზე გაცემული თანხა 1,170.92 და ქალებზე გაცემული თანხა 1,170.92 ლარი.

პრემიებზე გაცემული თანხის განაწილება გენდერული ნიშნით: თანამშრომელ ქალებზე/კაცებზე გაცემული პრემიების თანხის საერთო ოდენობა 49,196.00 ლარი, პრემიების სახით გაცემული თანხის საერთო ოდენობის პროცენტული განაწილება ქალებზე შეადგენს 49.38%, ქალებზე გაცემული პრემიების ოდენობა 16,900.00, კაცებზე გაცემული პრემიების ოდენობა 17,325.00 ლარი. ქალებზე გაცემული პრემიების საშუალო ოდენობა 456.76, კაცებზე გაცემული პრემიების საშუალო ოდენობა 326.89 ლარი.

სამივლინებო თანხების განაწილება გენდერული ნიშნით: თანამშრომელი ქალების/კაცების გაცემული სამივლინებო თანხები 3,600.00 ლარი, გაცემული სამივლინებო თანხების 73 პროცენტი გაიცა ქალებზე, ქალებზე გაცემული სამივლინებო თანხა 2,640.00 ლარი,კაცებზე გაცემული სამივლინებო თანხა 960.00 ლარი, სამივლინებო ხარჯის საშუალო ოდენობა 67.92 ლარი ქალებზე 73.33 ლარი, კაცებზე 56.47ლარი.

2021 წლის მონაცემებით შრომის ანაზღაურება დასაქმებულ პერსონალზე, სულ 1,611,744.00 ლარი, მათ შორის კაცებზე გაცემული თანხა 764,977.00 ლარი და ქალებზე 846,767.00 ლარი. ხელფასებზე გაცემული საერთო თანხის 52 % გაიცა თანამშრომელ ქალებზე ; საშუალო თვიური ხელფასი, 907.51 ლარი, მათ შორის კაცებზე გაცემული თანხა 1,045.05 და ქალებზე გაცემული თანხა 811.08 ლარი.

პრემიებზე გაცემული თანხის განაწილება გენდერული ნიშნით: თანამშრომელ ქალებზე/კაცებზე გაცემული პრემიების თანხის საერთო ოდენობა 49,196.00 ლარი, პრემიების სახით გაცემული თანხის საერთო ოდენობის პროცენტული განაწილება ქალებზე შეადგენს 48.31%, ქალებზე გაცემული პრემიების ოდენობა 23,765.00, კაცებზე გაცემული პრემიების ოდენობა 25,431.00 ლარი. ქალებზე გაცემული პრემიების საშუალო ოდენობა 679.00, კაცებზე გაცემული პრემიების საშუალო ოდენობა 438.47 ლარი. სამივლინებო თანხების განაწილება გენდერული ნიშნით: თანამშრომელი ქალების/კაცების გაცემული სამივლინებო თანხები 2,265.00 ლარი, გაცემული სამივლინებო თანხების 36.42 პროცენტი გაიცა ქალებზე, ქალებზე/კაცებზე გაცემული სამივლინებო ხარჯის საშუალო ოდენობა 80.89 ლარი.

თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე გაიცა 1068 ლარი, თანხები გენდერულ ჭრილში ქალებზე გაიცა 488.00, კაცებზე 580.00 ლარი, პროცენტულად ქალებზე გაიცა 45.69 %.

3. სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, აქტივობები, პრიორიტეტები და მოსალოდნელი შედეგები

3.1. S W O T ანალიზი

SWOT ანალიზი საფუძვლად ედება კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებას

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> ❖ პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება ❖ რეგიონის დაფარვის არეალი(ფილიალები) ❖ კოლეჯის რეპუტაცია, პრესტიჟი და მზარდი იმიჯი ❖ შრომის ბაზარზე ორიენტირება (რეგიონის შრომის ბაზრის ❖ მოთხოვნის შესაბამისი მოქმედი პროგრამები და საჭიროების შემთხვევაში მოთხოვნადი პროგრამების დამატება) ❖ დუალური პროგრამების განხორციელება ❖ განახლებული საორგანიზაციო სტრუქტურა და მართვის სისტემა ❖ გამოცდილი და მოტივირებული პერსონალი ❖ პერსონალის რეფორმებისადმი მზაობა ❖ თანამედროვე ინფრასტრუქტურა და ინოვაციებისადმი სწრაფვა ❖ მუდმივი სწრაფვა განვითარებისა და სრულყოფილებისაკენ ❖ მაღალ პროფესიონალიზმზე და ხარისხზე ორიენტირება ❖ თანასწორობა, სამართლიანობა, გამჭვირვალობა ❖ პროფესიული განათლების უწყვეტობის პრინციპის ხელშეწყობა ❖ სწორი მენეჯმენტი ❖ პროექტების განხორციელების გამოცდილება ❖ სტუდენტური თვითმმართველობა ❖ თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან 	<ul style="list-style-type: none"> ❖ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისბალანსი ❖ სსსმ და შშმ პირების ჩართულობა ❖ გენდერული ბალანსი ❖ უცხოენოვანი სასწავლო ლიტერატურის გამოყენების დაბალი დონე (უცხო ენების არცოდნა, ბიბლიოთეკის შეზღუდული შესაძლებლობები, ამ მხრივ სტუდენტთა მოტივაციის დაბალი დონე და სხვ) ❖ მასწავლებელთა პერსონალის გადამზადების სისტემის არარსებობა ❖ ფინანსური რესურსების სიმცირე ❖ საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები ❖ სახელოსნოების არასაკმარისი რაოდენობა ❖ კრიზისების ეფექტური მართვის ნაკლები გამოცდილება ❖ დამსაქმებლების ინერტულობა

თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან	
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> ❖ სამრეწველო და ინოვაციური ლაბორატორიის სასწავლო ❖ პროცესში ეტაპობრივი ინტეგრაცია ❖ ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა ❖ პროგრამების დივერსიფიკაცია ❖ სამეწარმეო საქმიანობის დაწყება (დანმატებითი ფინანსური რესურსების გენერირება) ❖ ადგილობრივი წარმოების განვითარებაში წვლილის შეტანა ❖ პროფესიული განათლების პოპულარიზაცია, მათ შორის გენდერულ ჭრილში ❖ სტუდენტებისათვის მხარდამჭერი სერვისების შეთავაზება ❖ მასწავლებელთა გადამზადების სისტემის შექმნა შიდა და გარე (სამინისტროს მხარდაჭერით) რესურსებით ❖ პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა ❖ მოწინავე ქვეყნების პროფესიული განათლების გამოცდილების გაზიარება ❖ თანამშრომელთა/სტუდენტთა/მსმენელთა უცხოენაში მომზადება/გადამზადებში მხარდაჭერა ❖ სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში ჩართვა ❖ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება და საგანმანათლებლო ჩიხის აღმოფხვრა ❖ ყველა დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების /გადამზადების პროგრამების, სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების და ტრენინგ კურსების განხორციელების უფლება. ❖ დამსაქმებელთა ჩართულობის გაზრდა ❖ რეგიონის მასშტაბით პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა ❖ ინფრასტრუქტურული განვითარება (სამინისტროს მხარდაჭერით) 	<ul style="list-style-type: none"> ❖ შრომის ბაზრის ცვალებადობა ❖ ეკოლოგიური გამოწვევები ❖ კონკურენცია ❖ სტუდენტთა მიღების წესის ცვლილებები ❖ სწრაფი საკანონმდებლო ცვლილებები ❖ პანდემია

<ul style="list-style-type: none"> ❖ დისტანციური და კომბინირებული სწავლების დანერგვა ❖ კრიზისების მართვის სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება და კრიზისების ეფექტური მართვა 	
---	--

3.2. ხედვა და მისია - დეფინიციები და განმარტებები

სსიპ კოლეჯის „აისი“ სტრატეგიული გეგმის მომზადების პროცესში განხორციელდა ხედვის, მისიის და ღირებულებების რევიზია, რომლის შესაბამისადაც დაიგეგმა 2020-2027 წლებში მისაღწევი შედეგები და ამისათვის განსახორციელებელი აქტივობები.

ხედვა: 2027 წლისთვის კოლეჯი „აისი“ საქართველოსა და რეგიონში იქნება ლიდერი პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ინოვაციური მიდგომებით, გლობალიზაციის გათვალისწინებითა და ტრადიციების შენარჩუნებით ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს და შეძლებს კახეთის რეგიონის მასშტაბით სოფლის მეურნეობის, ინჟინერიის, ტურიზმის, მომსახურების, ხელოვნების, ბიზნეს - ადმინისტრირების, ინფორმაციის და კომუნიკაციების ტექნოლოგიების და ჯანდაცვის სფეროებში შრომის ბაზრის მოთხოვნების 70%-ით დაკმაყოფილებას.

ხედვის ფორმულირებისას კოლეჯი ხელმძღვანელობდა შემდეგი პოსტულატებით:

- ხედვა წარმოადგენს ორგანიზაციის გრძელვადიან, ყოვლისმომცველ მიზანს, რომელიც მიიღწევა როგორც ორგანიზაციის მანდატით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებით, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით;
- თავისი არსით, ხედვა ის შედეგია, რომლის მიღწევაც კოლეჯის ძალებით შესაძლებელია;
- ხედვა გვეხმარება, რომ დავინახოთ სასურველი მომავალი ფართო და გრძელვადიან კონტექსტში, რომლის ფორმირებაშიც კოლეჯს აქვს მნიშვნელოვანი წილი სტრატეგიული გეგმის განხორციელებით;

მისია: უმაღლესი პროფესიული სტანდარტების დანერგვისა და სტუდენტების/ მსმენელების ინტერესების პრიორიტეტიზაციის გზით, შრომის ბაზრის დაკვეთის შესაბამისად, სოფლის მეურნეობის, ინჟინერიის, ტურიზმის, მომსახურების, ხელოვნების, ბიზნეს - ადმინისტრირების, ინფორმაციის და კომუნიკაციების ტექნოლოგიების და ჯანდაცვის სფეროში მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე სპეციალისტების მომზადება, რომლებიც კრიტიკულ აზროვნებაზე დაფუძნებული ღირებულებებით, ახალი იდეებითა და პროფესიული უნარ-ჩვევებით შეძლებენ თვითრეალიზაციას მიუხედავად სქესისა, ასაკისა, საცხოვრებელი ადგილისა, შემოქმედებითად მიუდგებიან ქვეყნის ეკონომიკურ თუ გლობალურ გამოწვევებს და ხელს შეუწყობენ ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს.

„მისიის“ ფორმირებისას კოლეჯი ხელმძღვანელობდა შემდეგი მითითებებით:

- მისია, თავის მხრივ, არის ორგანიზაციის განაცხადი იმის თაობაზე თუ როგორ, რა მიდგომით აპირებს იგი სასურველი სამომავლო სურათის/ხედვის მიღწევას.

- მისია წარმოადგენს უმაღლეს საფეხურს მიღწევებისა, რომლებიც კოლეჯის მუშაობისა და ძალისხმევის შედეგი იქნება;
- მისია აკონკრეტებს იმ გზას, რითაც შესაძლებელია მიახლოება ორგანიზაციის „ხედვასთან“;

ღირებულებები:

- მუდმივი სწრაფვა განვითარებისა და სრულყოფილებისაკენ
- შრომის ბაზარზე ორიენტირება
- მაღალ პროფესიონალიზმზე და ხარისხზე ორიენტირება
- თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა
- სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა
- სოციალური პასუხისმგებლობა
- ინიციატივების მხარდაჭერა და წახალისება
- თანასწორობა, სამართლიანობა, გამჭვირვალობა
- მრავალფეროვანი და ინკლუზიური გარემო
- პროფესიული განათლების უწყვეტობის პრინციპის ხელშეწყობა

ღირებულებების ფორმირებისას კოლეჯი ხელმძღვანელობდა შემდეგი მითითებებით:

- ღირებულებები არის რწმენები, რომელთაც კოლეჯი ქცევის, ქმედების სტანდარტად მიიჩნევს.
- ღირებულებები ჩამოყალიბდა იმისათვის, რომ კოლეჯმა საკუთარი მიზნები სოციალურად მისაღები გზით მიაღწიოს.
- ღირებულებები კოლეჯის თვითშეფასების და სხვების შეფასების საფუძველია და მთავარ როლს თამაშობს მიზნების ჩამოყალიბებაში.
- ღირებულებები ესაა პრინციპები/ სტანდარტები, რომელსაც აღიარებს ორგანიზაცია, მისი ყველა თანამშრომელი და გამოხატავს რწმენას, შეხედულებებს, იდეალებსა თუ ეთიკურ სტანდარტებს, რომლებიც საფუძველად უდევს მისი ცხოვრების წესს.

3.3. პრიორიტეტები

კოლეჯის „აისი“ განვითარების სტრატეგიის შედეგების მისაღწევად შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებებია განსაზღვრული:

- კოლეჯის შესაძლებლობის გაძლიერება შრომის ბაზრის და თანამედროვე ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად:
 - კოლეჯის შესაძლებლობების გაძლიერება, მაღალი ხარისხის და ეფექტური მართვის უზრუნველყოფა
 - კვალიფიციური პედაგოგიური კადრების მოზიდვა;
 - ბაზარზე ორიენტირებული, მოქნილი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და არსებული პროგრამების დივერსიფიცირება
- შესაძლებლობების გაძლიერება ვერიფიკაციის, თვითშეფასებისა და ავტორიზაციის გზით.
- ოპტიმალური საგანმანათლებლო ქსელის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება როგორც გეოგრაფიული, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების/დისციპლინების თვალსაზრისით;

- საჯარო და კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სკოლებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის კოორდინაციისა და კომუნიკაციის გაუმჯობესება.
- გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად გოგონებისა და ვაჟების არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა განსაკუთრებული აქცენტით ტექნიკურ/ტექნოლოგიურ სწავლებაზე;
 - საზოგადოებისაგან გარიყვის რისკის ქვეშ მყოფი პირებისათვის (შშმპ, სსმპ, ეთნიკური უმცირესობა, იძულებით გადაადგილებული პირები, პატიმრები, პრობაციონერები, ბავშვები ღარიბი ოჯახებიდან, მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლები და ა.შ) მრავალფეროვან საგანმანათლებლო პროგრამებზე სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
 - პროფესიული მასწავლებლების მომზადება და გადამზადება თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად; უნარების განახლების მიზნით რეგულარული ტრენინგების უზრუნველყოფა პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებში; პროფესიული მასწავლებლის პროფესიის მიმზიდველობის გაზრდა; ახალი კადრების მოზიდვისა და არსებული კადრების შენარჩუნების და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
 - სოციალური პარტნიორებისა და სამოქალაქო საზოგადოების სრული ჩართულობის უზრუნველყოფა პროფესიული განათლების მთელ პროცესში.
 - პროფესიულ პროგრამების „ქალური“ და „მამაკაცური“ შეფერილობის დაძლევისათვის ხელშეწყობა, სტუდენტთა, ასევე პედაგოგთა შორის გენდერული ბალანსის მიღწევაზე ზრუნვა იმ პროგრამებზე, რომელზედაც ძირითადად, ქალები ან ვაჟები სწავლობენ და/ან ასწავლიან, ამ კუთხით, ადგილობრივი და სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გაცნობა და დანერგვა.
 - პროფესიული კვალიფიკაციების ხარისხისა და გამჭვირვალეობის უზრუნველყოფა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესება; ეფექტური და ტრანსფერული კრედიტების სისტემის განვითარება, კვალიფიკაციების სერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა კვალიფიკაციების საერთაშორისო აღიარებისა და მობილობის უზრუნველსაყოფად; არაფორმალური (წინმსწრები) განათლების აღიარების სისტემის განვითარება; ინტერნაციონალიზაცია
 - კოლეჯის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება
 - კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმების გაძლიერება, როგორცაა: მაღალი ხარისხის კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის სისტემის უზრუნველყოფა; საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება; სტუდენტების დასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარება პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებში პრაქტიკის დროს; სტუდენტებისათვის/მსმენელებისათვის სერვისების განვითარება
 - სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება დამსაქმებლებთან და ზოგადად, ბიზნესთან მჭიდრო თანამშრომლობით; სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, მათი კონკრეტული სპეციალობისათვის საჭირო პროფესიული უნარებითა და საკვანძო კომპეტენციებით აღჭურვა (სამეწარმეო უნარები, კომპიუტერის ფლობა, უცხო ენა და სხვა) .
 - არსებული კანონმდებლობის ფარგლებში სამეწარმეო საქმიანობის წამოწყება, სტუდენტებში პრაქტიკული სწავლების გაღრმავების და კოლეჯისათვის დამატებითი ფინანსური სახსრების მოზიდვის მიზნით.
 - კრიზისების ეფექტური მართვა

3.4. კოლეჯის ახალი ინიციატივები

ზოგადად, პროფესიულ განათლებას მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში, უმუშევრობისა და სიღარიბის შემცირებაში, მაღალკვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ბალანსის შენარჩუნებასა და გაძლიერებაში. პროფესიულ განათლება პოზიტიურ გავლენას ახდენს უმუშევრობაზე, კვალიფიციური კადრების მომზადებით, მეწარმეობის დაწყებისათვის, დასაქმებისა და თვითდასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარების ხელშეწყობით როგორც არსებული, ასევე სამომავლო ტენდენციებისა და ტექნოლოგიების გათვალისწინებით. პროფესიული განათლება ხელს შეუწყობს ახალგაზრდების, რეგიონის მოსახლეობისა და იმ ჯგუფების შესაძლებლობების გაუმჯობესებასა და დასაქმება-თვითდასაქმების პერსპექტივების გაზრდას, რომელთაც წარსულში ნაკლებად ჰქონდათ განათლების ან/და დასაქმების შესაძლებლობა.

ამ ტენდენციებიდან გამომდინარე, კოლეჯის ახალი ინიციატივებია: თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრება, დაფინანსების გაზრდა და ხარჯვის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება, განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, კოლეჯის აკადემიური, ადმინისტრაციული და ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა, სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება, უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა, პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაცია, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და საჭიროების შემთხვევაში კრიზისების ეფექტური მართვა.

3.5. სტრატეგიული მიზნები

კოლეჯის მისიის განხორციელებისათვის განისაზღვრა შემდეგი სტრატეგიული მიზნები:

- შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების, სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების, ტრენინგკურსებისა და არაფორმალური განათლების ფარგლებში პროგრამების შემუშავება, მათი განხორციელების ხელშეწყობი ღონისძიებების გატარება და ინტერნაციონალიზაცია
- კოლეჯის ადამიანური რესურსების განვითარება
- თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა
- გოგონებისა და ბიჭებისათვის, ქალებისა და კაცებისათვის კოლეჯის პროფესიული პროგრამებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
- კოლეჯის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება
- კოლეჯის სტუდენტების/მსმენელების მხარდამჭერი ღონისძიებების განვითარება
- კრიზისების ეფექტური მართვა

3.6. ამოცანები

მიზანი I: შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების, სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების, ტრენინგურსების შემუშავება, მათი განხორციელების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება და ინტერნაციონალიზაცია

ამოცანები:

- ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების, სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების, ტრენინგურსებისა და არაფორმალური განათლების ფარგლებში პროგრამების შემუშავება, დანერგვა და განხორციელება
- მაღალი ხარისხის სწავლებისა და შეფასების პროცესის უზრუნველყოფა; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესება
- სოციალური პარტნიორების მონაწილეობა პროფესიული განათლების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.
- ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდაჭერა
- საერთაშორისო პარტნიორობის განვითარება

მიზანი II: კოლეჯის ადამიანური რესურსების განვითარება

ამოცანები:

- ინსტიტუციური განვითარება
- მართვის პროცესის გაუმჯობესება
- კოლეჯის ადმინისტრაციული თანამშრომლებისა და მასწავლებელთა საჭიროებების კვლევა
- კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების განხორციელება

მიზანი III: კოლეჯის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება

ამოცანები:

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება-გაუმჯობესება ინოვაციური, თანამედროვე და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარება
- ელექტრონული ბაზების მოწესრიგება და ანგარიშგება
- გამართული საქმისწარმოების უზრუნველყოფა
- საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმართვა
- ფინანსური მდგრადობა და დამატებითი სახსრების გენერირება
- სახანძრო და შრომის უსაფრთხოება და სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვა

მიზანი IV: კოლეჯის სტუდენტების/მსმენელების მხარდამჭერი ღონისძიებების განვითარება

ამოცანები:

- პროფესიული ორიენტაციის ღონისძიებების ორგანიზება
- პროფესიული განათლების პოპულარიზაცია

- სტუდენტური სერვისების განვითარება

მიზანი V: კრიზისების ეფექტური მართვა

ამოცანები:

- კოლეჯის მდგრადობა კრიზისების დროს

3.7. მოსალოდნელი შედეგები

ამ მიზნების გათვალისწინებით და დასახული აქტივობებით მოსალოდნელია შემდეგი შედეგების მიღწევა:

1. 2027 წლისთვის კოლეჯი საქართველოსა და რეგიონში ლიდერი პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ინოვაციური მიდგომებით, გლობალიზაციის გათვალისწინებითა და ტრადიციების შენარჩუნებით ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს და კახეთის რეგიონის მასშტაბით სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, მომსახურების, ჯანდაცვის, ხელოვნების და ტურიზმის სფეროებს სამუშაო ძალაზე არსებული დაკვეთის მინიმუმ 70%-ით აკმაყოფილებს.
2. კოლეჯში შექმნილია უსაფრთხო გარემო
3. სოციალური პარტნიორები და სამოქალაქო საზოგადოება სრულად კოლეჯის ხელმძღვანელობასთან ერთად თანაბრად მონაწილეობენ კოლეჯის მართვაში, პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.
4. კოლეჯი „აისი“ არის ეფექტური დაფინანსებისა და მართვის მქონე, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება; კოლეჯში სწავლა ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის მისი ასაკის, სქესის, ეთნიკური თუ სოციალური ჯგუფისადმი მიკუთნებულობის, საცხოვრებელი ადგილის, ფსიქიკური თუ ფიზიკური შესაძლებლობების მიუხედავად;
5. კოლეჯში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამები შრომის ბაზრის, არსებული და სამომავლო მოთხოვნების შესაბამისია;
6. პროფესიული მასწავლებლები მომზადებულები არიან თანამედროვე მიდგომებისა და სფეროს უახლესი მიღწევების შესაბამისად; მათ პროფესიონალიზმის ამაღლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობა აქვთ, რაც ხელს უწყობს სტუდენტების მაღალ დონეზე მომზადებას და თვით-რეალიზებას;
7. კოლეჯში ტარდება ეფექტური ღონისძიებები სტუდენტების/მსმენელების მხარდასაჭერად;
8. ჩამოყალიბებულია სისტემა, რომელიც ხელს უწყობს კურსდამთავრებულებს მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებაში ან საკუთარი ბიზნესის წამოწყებაში.
9. კოლეჯის კურსდამთავრებულები მომზადებულები არიან დასაქმებისათვის მათთვის საინტერესო, ღირებულ და სადაც შესაძლებელია მაღალანაზღაურებად პროფესიებში, კარიერის შემდგომი განვითარების და თვით-რეალიზაციის პერსპექტივით;
10. კოლეჯში პროფესიული განათლება მიმზიდველ და რეალურ საგანმანათლებლო ალტერნატივას წარმოადგენს საზოგადოების ფართო ფენებისათვის; ახალგაზრდებისათვის ის წარმოადგენს სკოლის შემდგომი განათლების მიღების ალტერნატივას, ზრდასრულებისათვის - კარიერის განვითარების მნიშვნელოვან მექანიზმს და ახალ სპეციალობებში გადამზადების საშუალებას მათთვის, ვისაც შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად პროფესიის შეცვლა სჭირდება.
11. კოლეჯის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები სისტემატიურად ვითარდება და აკმაყოფილებს მოთხოვნებს;

12. არსებული კანონმდებლობის ფარგლებში სამეწარმეო საქმიანობის წამოწყებით, ხელი ეწყობა სტუდენტებს პრაქტიკული სწავლების გაღრმავებაში და კოლეჯს ინფრასტრუქტურის განახლებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გადართავებისათვის აქვს დამატებითი ფინანსური სახსრები.

13. კოლეჯის საქმიანობა მდგრადია კრიზისების დროს.

3.8. სტრატეგიის დანერგვის ფინანსური ხარჯები

ფინანსური ხარჯები შეფასებულია და წარმოდგენილია 2020-2027 წლების სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმაში.

სტრატეგიის განხორციელების ხარჯები დაფარული იქნება შემდეგი წყაროებიდან:

- სახელმწიფო ბიუჯეტიდან (პროგრამული დაფინანსება), იმ ხარჯების ფარგლებში, რომელიც დამტკიცებული იქნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ
- უცხოელი დონორებისა და პარტნიორების მიერ მხარდაჭერილი ტექნიკური და ფინანსური დახმარების პროექტებიდან და პროგრამებიდან;
- კერძო სექტორის მონაწილეობა;
- სპონსორები და სხვა წყაროები, რომელიც გათვალისწინებულია მოქმედ კანონმდებლობაში.
- საკუთარი შემოსავლებიდან.

პრიორიტეტული ღონისძიებების განსაზღვრა და მათი გათვალისწინება სტრატეგიულ ხარჯებში განხორციელდება კოლეჯისათვის გამოყოფილი დაფინანსების მიხედვით, რომელსაც ითვალისწინებს ამჟამად არსებული საბიუჯეტო დაგეგმვა, ხოლო საქმიანობების წლიური დაფინანსება განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტში კოლეჯისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში და/ან სხვა დამატებითი წყაროებიდან.

2020-2027 წლებში სხვადასხვა წყაროდან მიღებული სავარაუდო შემოსავლები:

წლები	პროგრამული დაფინანსება (მილიონი ლარი)	საკუთარი სახსრები (მილიონი ლარი)	დონორები (მილიონი ლარი)	კერძო სექტორიდან მიღებული შემოსავლები (მილიონი ლარი)	სპონსორებიდან და სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლები (მილიონი ლარი)	ჯამი (მილიონი ლარი)
2020	1.4	1.5	0.1			3
2021	1.5	1.8	0.15	0.01	0.01	3.47
2022	1.7	2.2	0.2	0.02	0.02	4.14
2023	1.9	2.5	0.25	0.02	0.02	4.69
2024	2.2	2.8	0.3	0.02	0.02	5.34
2025	2.6	3.1	0.35	0.02	0.02	6.09

2026	3.0	3.4	0.4	0.02	0.02	6.8
2027	3.0	3.5	0.45	0.02	0.02	6.99
სულ:2020-2027	14.3	17.3	1.75	0.11	0.11	40.52

3.9. სტრატეგიული გეგმა

სტრატეგიული მიზანი N1															
შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების, სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების, ტრენინგკურსების შემუშავება, მათი განხორციელების ხელშეწყობი ღონისძიებების გატარება და ინტერნაციონალიზაცია															
N	ამოცანა	აქტივობა	წლები								შესრულების ინდიკატორი	რესურსები			განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები
			2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027		ადამიანური	მატერიალური	ფინანსური	
1.	ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების, სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების, ტრენინგკურსების შემუშავება, დანერგვა და განხორციელება	რეავტორიზაცია									კოლეჯი „აისი“ ავტორიზებული პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულება				დირექტორი, მოადგილეები, ხარისხის მართვის მენეჯერი, იურისტი, სასწავლო პროცესის მენეჯერები(კაჭრეთი, ქვემო ალვანი, სამრეკლო); პროგრამის ხელმძღვანელები; პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი

		ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დამატება და დანერგვა								ახალი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამები ავტორიზებული და დანერგილია				დირექტორის მოადგილე სასწავლო -საწარმოო დარგში; სასწავლო პროცესის მენეჯერები(კაჭრეთი, ქვემო ალვანი, სამრეკლო); პროგრამის ხელმძღვანელები;დარგის სპეციალისტები
		პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება, ასეთი პროგრამების დამატება და დანერგვა								პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები ინტეგრირებულია. ასეთი პროგრამები ავტორიზებული და დანერგილია				დირექტორის მოადგილე სასწავლო და საწარმოო დარგში; ხარისხის მართვის მენეჯერი
		პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების შემუშავება, დამატება და დანერგვა								პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამები შემუშავებული და დანერგილია				დირექტორის მოადგილე სასწავლო -საწარმოო დარგში; ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი; დარგის სპეციალისტები
		სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების შემუშავება და დამატება								სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამები შემუშავებული და დანერგილია				დირექტორის მოადგილე სასწავლო და საწარმოო დარგში; ხარისხის მართვის მენეჯერი; ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი

									ტრენინგურების შემუშავება და დანერგვა				ტრენინგურები შემუშავებული და დანერგილია				დირექტორის მოადგილე სასწავლო-საწარმოო დარგში; ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი; დარგის სპეციალისტები
									არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების შემუშავება, დანერგვა და აღიარების უფლების მოპოვება				არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების შემუშავებული და დანერგილია. კოლეჯს აქვს არაფორმალური განათლების აღიარების უფლება				დირექტორის მოადგილე სასწავლო და საწარმოო დარგში; ხარისხის მართვის მენეჯერი; ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი
									პროგრამების შემუშავება დუალური მიდგომებით, დამატება და დანერგვა				პროგრამები შემუშავებულია დუალური მიდგომებით და დანერგილია				დირექტორის მოადგილე სასწავლო-საწარმოო დარგში; საწარმოო პრაქტიკის და დუალური პროგრამების განვითარების მენეჯერი; დარგის სპეციალისტები
									პროგრამების შემუშავებასთან, დანერგვასთან და განხორციელებასთან დაკავშირებული მარეგულირებელი შიდა ნორმატიული დოკუმენტების დახვეწა				პროგრამების შემუშავებასთან, დანერგვასთან და განხორციელებასთან დაკავშირებული მარეგულირებელი შიდა ნორმატიული დოკუმენტები მოთხოვნების შესაბამისია				იურისტი; დირექტორის მოადგილეები; ხარისხის მართვის მენეჯერი; სასწავლო პროცესის მენეჯერები; ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი
									დისტანციური და				დისტანციური და				დირექტორის

		კომბინირებული სწავლების დანერგვა და განვითარება								კომბინირებული სწავლება დანერგილია და იძლევა ეფექტურ შედეგებს			მოადგილე სასწავლო -საწარმოო დარგში; ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი; სასწავლო პროცესის მენეჯერები; დუალური პროგრამებისა და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი; პროგრამის განმახორციელებელი პირები/დარგის სპეციალისტები	
2.	მაღალი ხარისხის სწავლებისა და შეფასების პროცესის უზრუნველყოფა; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესება	ვერიფიკაციის მეთოდოლოგიის შემუშავება								შემუშავებულია შიდა ვერიფიკაციის მეთოდოლოგია; შექმნილია ვერიფიკაციის ჯგუფი			ხარისხის მართვის მენეჯერი; დარგის სპეციალისტები, მოწვეული პირები/ექსპერტები	
		ვერიფიკაციის სისტემის ჩამოყალიბება და ვერიფიკაციის განხორციელება								შიდა ვერიფიკაციის სისტემა ეფექტურად მუშაობს. კოლეჯის ახორციელებს შიდა ვერიფიკაციას			ხარისხის მართვის მენეჯერი; დარგის სპეციალისტები, მოწვეული პირები/ექსპერტები	
		სწავლისა და სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა									სწავლებაში დანერგილია ინოვაციური მეთოდები			სასწავლო პროცესის მენეჯერები; დუალური პროგრამების და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელები; დარგის სპეციალისტები, მოწვეული პირები/ექსპერტები
		სასწავლო პროცესის მონიტორინგის სისტემის									მონიტორინგის შედეგები და საჭიროების			დირექტორის მოადგილე სასწავლო

		განვითარება								შემთხვევაში სასწავლო პროცესის გაუმჯობესების შესახებ რეკომენდაციები				და საწარმოო დარგში; ხარისხის მართვის მენეჯერი; სასწავლო პროცესის მენეჯერები; დუალური პროგრამებისა და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი
		შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია								ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტები; ვალიდაციის კითხვარები.				სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი; პროგრამის ხელმძღვანელები, მოდულის განმახორციელებელი პირები და სხვა პირები საჭიროების შემთხვევაში
		მასწავლებლების, სტუდენტების, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა, ანალიზი და სწრაფი რეაგირება								გამოკითხვის შედეგები და რეკომენდაციები				ხარისხის მართვის მენეჯერი
		ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწა								შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმები				ხარისხის მართვის მენეჯერი
		კონკურსების მომზადება და ჩატარება								მომზადებული და ჩატარებულია შიდა კონკურსები				დირექტორის მოადგილე სასწავლო და საწარმოო დარგში; ხარისხის მართვის მენეჯერი; სასწავლო პროცესის მენეჯერები; დუალური პროგრამებისა და

													საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი
		სამრეწველო და ინოვაციური ლაბორატორიის სასწავლო პროცესში ინტეგრაცია								სამრეწველო და ინოვაციური ლაბორატორია სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია			დირექტორის მოადგილე სასწავლო და საწარმოო დარგში; ხარისხის მართვის მენეჯერი; სასწავლო პროცესის მენეჯერი; სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის კოორდინატორი
		სტუდენტთა/მსმენელთა კმაყოფილების კვლევა, ანალიზი და რეგირება								კვლევების შედეგები და რეაგირება			ხარისხის მართვის მენეჯერი
3	სოციალური პარტნიორების მონაწილეობა პროფესიული განათლების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.	შეხვედრების, გამოკითხვების, მრგვალი მაგიდის ორგანიზება და სოციალური პარტნიორების ჩართულობის მაქსიმალური ხელშეწყობა;								შეხვედრების ოქმები და გამოკითხვის შედეგები			საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი; პროფორინტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი; დუალური პროგრამებისა და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი
		დუალური პროგრამების განვითარება								ახალი პარტნიორი საწარმოები მოძიებულია და პროცესებში ჩართულია			დირექტორის მოადგილე სასწავლო-საწარმოოდ დარგში; დუალური პროგრამებისა და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი
		დარგობრივ საბჭოებთან და პროფესიულ ასოციაციებთან თანამშრომლობა								შეხვედრების ოქმები; ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები			დირექტორის მოადგილე სასწავლო და საწარმოო დარგში; ხარისხის მართვის

														მენეჯერი; სასწავლო პროცესის მენეჯერები; დუალური პროგრამებისა და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი
		სოციალური პარტნიორების მონაწილეობის და ჩართულობის ამაღლების მიზნით ღია კარის დღეების ორგანიზება და ჩატარება									შეხვედრების ამსახველი მტკიცებულებები			საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი; პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი; დუალური პროგრამებისა და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი
		კოლეჯის თვითშეფასების პროცესის განხორციელება									თვითშეფასებების ანგარიშები			ხარისხის მართვის მენეჯერი
4	ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდაჭერა	სსსმ და შშმ პირთა ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში და მათთვის მომსახურების სერვისების გაუმჯობესება									სსსმ და შშმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობა გაზრდილია. მათთვის მომსახურების სერვისები გაუმჯობესებულია			ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები და ასისტენტები
		გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად სტუდენტებსა/მსმენელებისათვის ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის მიმართულებით მხარდაჭერილია საინფორმაციო საგანმანათლებლო კამპანიების წარმოება									მხარდაჭერილია ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია			იურისტი; პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი; სტუდენტური სერვისების სპეციალისტი

		სსსმ და შშმ პირთა მხარდაჭერის მიზნით მათი უფლებების დაცვის დღეების მხარდაჭერი ღონისძიებების ჩატარება კოლეჯის სტუდენტთა ჩართულობით								მხარდაჭერი ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია			საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი; პროფორენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი; სტუდენტური სერვისების სპეციალისტი; ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები და ასისტენტები	
